პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

11 სექტემბერი, კვირა, 1988 წ.
№ 176 (9843) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის თასის გათამაშება წყალსათხილამურო სპორტში

# თბილისის ჯერიც დადგა

**ჩვენი** ქვეყნის უძლიერესი წყალმოთხილამურეები საქართველოს ხშირი სტუმრები გახდნენ. მას შემდეგ, რაც ფოთში მშვენიერი საწყლოსნო კომპლექსი აიგო, საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდი სისტემატურად აწყობს აქ შეკრებებს, შარშან კი ფოთმა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებასაც უმასპინძლა. წელს თბილისის ჯერი დადგა — ამ დღეებში თბილისის ზღვაზე წყალმოთხილამურეთა საკავშირო თასის წლევანდელი გათამაშების მონაწილენი შეიკრიბნენ.

შეჯიბრებაში მონაწილეობს 10 გუნდი (6 — პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების, 2-2 — შეიარაღებული ძალების და „შრომითი რეზერვებისა"), სულ 28 ვაჟი და 16 გოგონა.

ასპარეზობის პირველი დღე დაეთმო სლალომს. ვაჟთა კონკურსში ყველას აჯობა ჩვენი ქვეყნის უძლიერესმა სლალომისტმა ინგუს ბუქსმა (პროფკავშირები-4), რომელმაც 11-მეტრიანი ბაგირით 2,5 ტივტივას აუარა გვერდი და 36 ქულა მოაგროვა. მეორე იყო ალექსეი კორბუკოვი (პროფკავშირები-3) — 1,5-11 მ. 30 ქულა; მესამე — მაქსიმ სმირნოვი (შეიარაღებული ძალები-1)—4,5-13 მ, 25 ქულა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი, ფოთელი გენადი პეტრუხინი, რომელიც პროფკავშირთა II გუნდის ღირსებას იცავს, მეშვიდე ადგილზე გავიდა — 2-16 მ, 11 ქულა.

ქალთა შორის ადგილები ასე განაწილდა: 1. ეკატერინა მატიუხინა (პროფკავშირები-1) — 1,5-12 მ, 36 ქ; 2. იულია გრომიკო („შრომითი რეზერვები"-1) — 3-13 მ, 30 ქ; 3. ელენა სმირნოვა (შეიარაღებული ძალები-1) — 2-13 მ, 25 ქ.... 6. ხათუნა კორკელია (პროფკავშირები-1) — 4-16 მ, 14 ქ.

**გუშინ ტრამპლინიდან ხტომაში გაიმარჯვეს იულია ლევჩენკომ და სვიატოსლავ ვლასოვმა. ფიგურულ სრიალში უძლიერესნი იყვნენ იულია გრომიკო და სერგეი შალნოვი, მრავალჭიდში — ოლგა პავლოვა დ სერგეი შალნოვი.**

**წერილს ამ შეჯიბრების შესახებ შემოგთავაზებთ გაზეთის უახლოეს ნომერში.**



იულია ლევჩენკო



იულია გრომიკო



ხათუნა კორკელია

## ოლიმპიური მოზაიკა

● **15 სექტემბერს** სეულში შედგება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 94-ე სხდომა, რომელზეც დაასახელებენ 1994 წლის ზამთრის თამაშების მასპინძელ ქვეყანას. კანდიდატი, როგორც ცნობილია ოთხია — ანკორიჯი ალიასკაზე, ბულგარეთის დედაქალაქი სოფია, აგრეთვე ნორვეგიისა და შვეციის ქალაქები, მაგრამ ექსპერტთა აზრით სხვებზე უფრო მეტი შანსი სოფიას აქვს. ზამთრის ოლიმპიადის ჩატარება 1994 წელს იმას ნიშნავს, რომ პირველად დაირღვევა ოლიმპიადების ოთხწლიანი ციკლი და თეთრი და ზაფხულის ოლიმპიადები სხვადასხვა დროს მოეწყობა.

● **საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა სეულში ჩაიტანა 15 კილოგრამიანი გრანიტის ნატეხი და ორგანიზატორებს გადასცა. სამხრეთ კორეაში ქვების გროვა ბედის წყალობის სიმბოლოდ ითვლება. სწორედ ამ მიზნით ჩააქვთ დელეგაციებს სეულში სხვადასხვა ფორმის ქვები. თამაშების დამთავრების შემდეგ აქ გაიმართება „ქვების ფესტივალი", ოლიმპიურ პარკში კი სპეციალური მონუმენტი აღიმართება.

● **ოლიმპიურ** შეჯიბრებებზე დასასწრები 4 მილიონი ბილეთიდან ნახევარზე მეტი უკვე გაიყიდა. ყველაზე დიდი გასავალი აქვს ძიუდოს ბილეთებს. კარგად საღდება აგრეთვე, ველოსიპედისტთა, წყალში მხტომელთა და სინქრონული ცურვის ოსტატთა შეჯიბრებებზე დასასწრები ბილეთები.

● **ამერიკის** შეერთებული შტატების ოლიმპიელები უკვე ჩავიდნენ იაპონიაში, სადაც ინტენსიურ წვრთნას შეუდგნენ მათთვის გამოყოფილ ბაზებზე. იაპონიაშივე გადიან წინასაოლიმპიადო სამზადისს კიდევ რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენლები. იაპონიის ხელისუფლებამ გამოჰყო 50 მილიონი დოლარი სპორტსმენთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

● **სეულში** ჩასული სტუმრებისთვის ეწყობა ერთდღიანი ტურისტული მოგზაურობა სამხრეთ კორეის რვა სხვადასხვა ქალაქში, ამ ექსკურსიების მიზანია უცხოელებს გააცნონ ქვეყნის კულტურა და ხელოვნება.

● **დიდ იმედებს** ამყარებს ოლიმპიადაზე სამხრეთ კორეის სპორტული ნაწარმის ფირმა „კოლონი", მან ოლიმპიურ სოფელში უკვე გახსნა მაღაზია, ბევრი ქვეყნის წარმომადგენლებს კი უფასოდ დაურიგა სავარჯიშო ინვენტარი. იაპონიის ანალოგიურ ფირმებს „კოლონი" საშიშ კონკურენტად მიაჩნიათ და ახლავე ცდილობენ თადარიგის დაჭერას.

● **გერმანიის** დემოკრატიული რესპუბლიკის ველოსიპედისტები ოლიმპიადისწინა ბოლო შეჯიბრებაში მონაწილეობენ. პროლოგი და ეტაპი მოიგო კარგ სპორტულ ფორმაში მყოფმა მსოფლიოს ექსჩემპიონმა უვე რააბმა. მეორე ადგილზე გავიდა მშვიდობის ველორბოლის ორგზის ჩემპიონი ოლაფ ლუდვიგი.

● **ოლიმპიადის** დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ავსტრიის ველოსპორტის ფედერაციამ ნაკრების შემადგენლობიდან გარიცხა 20 წლის კრისტოფ ცირმანი, რომელსაც ბრალად დასდეს ერთ-ერთ ბოლო შეჯიბრებაში დოპინგის მიღება. ველოსიპედისტმა გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება და ახალი დოპინგ-კომისია მოითხოვა.

ვიქტორ გოგლიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საჭადრაკო მემორიალი

## დაფაზე „იდგა" ოთხი ლაზიერი

**ვიქტორ** გოგლიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ მოჭადრაკე ვაჟთა VIII საერთაშორისო ტურნირზე მეტად საინტერესო გამოდგა II ტურის შეხვედრები. ამ ტურში შავებმა სრული მარცხი განიცადეს: 5 პარტიიდან 4-ში (!) ბედი თეთრი ფიგურებით მოთამაშეთა სასარგებლოდ გადაწყდა (ერთი პარტია ყაიმით დამთავრდა).

ყველაზე საინტერესო გამოდგა საერთაშორისო ოსტატების, ბულგარელი ვალენტინ ლუკოვისა და ინგლისელი სტიუარტ კონკუესტის შეხვედრა.

მეტოქეებმა სლავური დაცვის ერთ-ერთი გაგრძელება, კერძოდ მერანის ვარიანტი გაითამაშეს. უკვე მე-13 სვლისთვის უჩვეულო პოზიცია შეიქმნა — დაფაზე ოთხი ლაზიერი „იდგა", რაც საჭადრაკო პრაქტიკაში არც ისე ხშირი შემთხვევაა. ერთხანს თითქოს კონკუესტს ჰქონდა უპირატესობა, მაგრამ მან პოზიციური შეცდომები დაუშვა. ლუკოვმა ფიგურები გაცვალა და ენდშპილში ეტლსა და პაიკში ორი მსუბუქი ფიგურა დათმო. თუმცა კონკუესტს მაინც ჰქონდა ყაიმის შანსი, მაგრამ ენდშპილიც არაზუსტად ჩაატარა და საბოლოოდ თავი დამარცხებულად სცნო.

ელიზბარ უბილავასა და იგორ ნოვიკოვის პარტიაში გათამაშდა ნიმცოვიჩის დაცვის ერთ-ერთი ვარიანტი. უბილავამ მოძველებული გაგრძელება გამოიყენა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს მისმა მეტოქემ პოზიციის გათანაბრება შეძლო, მაგრამ ქართველმა მოჭადრაკემ თანდათან გაცვალა ფიგურები და ზუსტი თამაშით ჯერ ფიგურა მოიგო, შემდეგ კი პარტიაც.

ედუარდ გუფელდი და მიხეილ ტალი მე-14 სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ.

დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: რომანიშინი-შნაპიკი — 1:0, პრანდშეტერი-კოჟული — 1:0.

ამრიგად, 2 ტურის შემდეგ 1,5-1,5 ქულით დაწინაურდნენ მიხეილ ტალი, ელიზბარ უბილავა და ოლეგ რომანიშინი.

როგორც ხედავთ, I და II ტურებში არც ერთი პარტია არ გადადებულა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ბრძოლა უაღრესად მწვავე იყო. ასეთი სტარტი იშვიათი მოვლენაა და საფიქრებელია, რომ შეჯიბრების მონაწილენი ტურნირის ბოლომდე უშელავათოდ იბრძოლებენ.

**ვასილ ვაჩნაძე.**

## ხარბენ ბილიკებზე მოვარჯიშეთა სიმრავლეა

**თბილისის** გამარჯვების პარკში (ვაკე) „ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდის ერთთვიურთან" დაკავშირებით გაიმართა შეჯიბრებები ჭადრაკში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ფეხბურთში და ქართულ ჭიდაობაში. პარკის დირექცია მხოლოდ კალენდარული სპორტული ზეიმებით როდი კმაყოფილდება. აქ ჩამოყალიბებულია ჩოგბურთის სექცია „მუხის ფოთოლი", პარალელურად მოქმედებს მოსწავლე ჩოგბურთელთა ჯგუფი 6 წლის ასაკიდან.

პარკის სპორტულ ბიბლიოთეკაში ყურადღებას იპყრობს ლამაზად გაფორმებული სტენდები: „სპორტი — სიცოცხლის დიდი ლამპარი" და „ფიზკულტურა და სპორტი — მშრომელთა ჯანმრთელობის სამსახურში". იქვეა გამოჩენილი ქართველი სპორტსმენების ფოტოებიც. ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდის ერთთვიური კვლავ გრძელდება. პარკის დირექციას კიდევ ბევრი ფიზკულტურულ-სპორტული ღონისძიებები აქვს დაგეგმილი.

**ზაირა კუპატაძე.**

## ქალაქის მეოთხე ჩემპიონატი მინიფეხბურთში

**საზეიმოდ** იყო მორთული თბილისის „ბურევესტნიკის" სპორტკომპლექსი. გუშინ აქ მეოთხედ აიღო სტარტი საქართველოს კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პრიზის გათამაშებამ მინიფეხბურთში უბნებს შორის. ეს საინტერესო შეჯიბრება სულ უფრო პოპულარული ხდება თბილისელთა შორის, მონაწილეთა რაოდენობაც ყოველ წელს იზრდება, წლევანდელ გათამაშებას მაგალითად, ჩვენი დედაქალაქის რამდენიმე ახალი უბანი შეემატა.

როგორც გახსოვთ, მინიფეხბურთელთა პირველ საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც შარშან გაიმართა მოსკოვში, სწორედ ჩვენი დედაქალაქის წარგზავნილებმა ისახელეს თავი. მათ დამსახურებულად დაიკავეს პირველი ადგილი ამ ერთობ წარმომადგენლობით ტურნირში.

მაშ ასე, გუშინ საზეიმო აღლუმის შემდეგ დაიწყო თბილისელ მინიფეხბურთელთა რიგით მეოთხე ჩემპიონატი. საინტერესო საფეხბურთო მარათონი თბილისობის დღესასწაულზე დასრულდება.

ავტომოდელისტთა საკავშირო შეჯიბრება

## გაზეთ „ლელოს" პრიზზე

**გუშინ,** თბილისში, რიყის ტერიტორიაზე დაიწყო „ლელოს" პრიზის საკავშირო გათამაშება ავტოსამოდელო სპორტში. ეს პრიზი ამიერიდან ტრადიციული გახდება, გაიმართება ყოველწლიურად და, იმედია, სულ უფრო მეტ პოპულარობას მოიხვეჭს.

ასპარეზობა საზეიმოდ გახსნა ავტოსამოდელო სპორტის საქართველოს ფედერაციის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსმა რეფერენტმა ავთანდილ მჭედლიშვილმა და წარმატებები უსურვა მონაწილეებს. საზეიმო გახსნას ესწრებოდა აგრეთვე საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე გენერალი გ. ნანეიშვილი.

„ლელოს" პრიზის გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის, სომხეთისა და აზერბაიჯანის სპორტსმენები. ასპარეზობებზე სტუმრად არიან მოწვეული რუმინელი ავტომოდელისტებიც, ბუქარესტის მანქანათმშენებელი ქარხნის „სემენო ოტარიას" ავტოსამოდელო კლუბის წევრები.

— ჩვენთვის ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა, გარდა იმისა, რომ ძალზე საინტერესოა, — თქვა რუმინელთა გუნდის მწვრთნელმა იონ კონსტანტინესკუმ, — ძალზე სასარგებლოც იქნება. ძლიერ მოწინააღმდეგეებთან ასპარეზობა უთუოდ ხელს შეუწყობს ჩვენი ავტომოდელისტების შემდგომ სპორტულ დაოსტატებასა და გამოცდილების ზრდას. ჩვენი გუნდის სახელით დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ამ შეჯიბრების ორგანიზატორებს, დოსააფის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობას, ავტოსამოდელო სპორტის ფედერაციას, გაზეთ „ლელოს", ჩვენი მოწვევისთვის.

სპორტის ამ საინტერესო და ლამაზი სახეობის მოყვარულებს კი შევახსენებთ, რომ შეჯიბრება დღეს დამთავრდება. ფინალურ ასპარეზობას 10 საათსა და 30 წუთზე მიეცემა სტარტი რიყის ტერიტორიაზე.

**გიორგი ძორჭია.**



რა არის ნეგატიური დიდ სპორტში? ამ საკითხზე ახლა ბევრს წერს მსოფლიო პრესა. „ლელოს“ ეს გვერდიც ამ თემას ეძღვნება.

# არასასურველი ადამიანი სპორტში

## რა შეემთხვა იური ვლასოვს მას შემდეგ, რაც სიმართლე თქვა

**იური ვლასოვი — სპორტის დამსახურებული ოსტატი, ოლიმპიური ჩემპიონი ძალოსნობაში, მწერალი. 1986 წლის მიწურულს ოსტანკინოს ტელესტუდიაში მოწყობილ შეხვედრისას მან პირველმა თქვა სიმართლე დიდი სპორტის სნეულებებზე — მეტისმეტ კომერციულობაზე, დოპინგებზე, ბავშვთა სპორტის სისასტიკეზე. ბოლო ორმა თემამ განსაკუთრებული მღელვარება გამოიწვია. მრავალი წლის განმავლობაში მიიჩნევდნენ, რომ ეს მოვლენები უცხო იყო საბჭოთა სპორტისათვის.**

● **იური პეტრეს ძევ, რატომ გადაწყვიტეთ ანაბოლიკებზე საუბარი?**

— ადრე კრინტს არავინ ძრავდა იმაზე, რომ მაგალითად, დოპინგი ძალოსანს საშუალებას კი აძლევს ასწიოს 20-30 კილოგრამით მეტი სიმძიმე როგორც აკვრაში, ისე — ატაცში, მაგრამ ამახინჯებს მას ფიზიკურად და მორალურად.

სამწუხაროდ, დოპინგის პრობლემა საკმაოდ ძველია — რამდენიმე ათეული წლისაა, თუ ანაბოლიკებს მივიღებთ მხედველობაში. დოპინგის ბრალდება არ შეიძლება წავუყენოთ ერთ რომელიმე ოლიმპიადას, მსოფლიო ჩემპიონატს ანდა ერთი ქვეყნის სპორტსმენებს. ეს პრობლემა საერთო ძალებით უნდა გადაწყდეს.

● **როგორ შეხვდნენ თვითონ სპორტსმენები თქვენს გამოსვლას?**

— ბევრმა მხარი დამიჭირა, თუმცა, ზუსტად ვიცი, ბევრიც ფარისევლობდა — ახლა ხომ ყველას სიამოვნებს „გარდაქმნის კაპიტნად“ გააცხადოს თავი. მე გამაოგნა წარსულში ცნობილი ათლეტის და მწვრთნელის არკადი ვოროიბიოვის გამოსვლამ „ოგონიოკში“. იგი გაფთრებით ილაშქრებდა ანაბოლიკების გამოყენების წინააღმდეგ. თვითონ კი, ჯერ კიდევ 70-იანი წლების დასაწყისში (იგი მაშინ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტში მუშაობდა) ამ პრეპარატების ერთ-ერთი პირველი გამავრცელებელი იყო ჩვენს ნაკრებში. მე საერთოდ, პირველად მისგან გავიგე ანაბოლიკების შესახებ. როდესაც მძიმედ დავსნეულდი, ვორობიოვი სამკურნალოდ ანაბოლურ პრეპარატებს მირჩევდა. და აი, გამოდის, რომ ადრე ძალოსნებს მუჭა-მუჭა აძლევდა ტაბლეტებს, ახლა კი სხვებს ადანაშაულებს...

● **როგორი დამოკიდებულება გამოიჩინეს თქვენი სიტყვების მიმართ სამამულო სპორტის მესვეურებმა?**

— როდესაც 1985 წლის ბოლოს საბჭოთა კავშირის ძალოსნობის ფედერაციის თავმჯდომარედ ამირჩიეს, ერთ-ერთ პირობად საწვრთნელი პროცესებიდან ანაბოლურ პრეპარატების მთლიანად ამოძირკვა დავაყენე. მაშინ სპორტსახკომის ხელმძღვანელებმა მხარის დაჭერა აღმითქვეს. მალე მე მკაცრად გავაკრიტიკე ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაცია. იგი დოპინგის საწინააღმდეგო კონტროლს ატარებდა (და ატარებს) იმ მეთოდებით, რომლებიც დაძველდნენ და დაკარგეს ეფექტურობა, რაც თავისთავად სადოპინგო პრაქტიკის წაქეზებას უწყობს ხელს. ჩემმა წერილებმა, რომლებიც დასავლეთის პრესაში გამოქვეყნდა, უკიდურესად მკვეთრი რეაქცია გამოიწვია. 1987 წელს ათენში „სასამართლოც“ მომიწყვეს, უკვე მერამდენედ ჩემს ცხოვრებაში...

● **ცილისწამებისათვის?**

— საერთაშორისო ფედერაციის წევრებმა ისარგებლეს საბჭოთა კავშირის სპორტსახკომის გადაწყვეტილებით, არ გამოეყვანათ ჩვენი გუნდი მსოფლიო თასის გათამაშებაში, რომელიც ავსტრალიაში ჩატარდა. ეს იყო პროტესტი დოპინგ-კონტროლისადმი ფორმალური დამოკიდებულების გამო.

ათენში გამოგვიძახეს მე და სპორტსახკომის ორი პასუხისმგებელი მუშაკი — კოლესოვი და პარხომენკო. პრეზიდიუმი დახურული კარის მიღმა შეიკრიბა, ჩემს კოლეგებს სიტყვაც არ მისცეს. მე კი ცალკე დამსვეს და დამიწყეს შეკითხვების მიცემა აშკარად არაკორექტიული ფორმით. მემუქრებოდნენ სანქციებით, სხვათა შორის, საკმაოდ სერიოზულით. საერთაშორისო ტურნირის ბოიკოტისათვის გველოდა რამდენიმე ასეული ათასი დოლარი ჯარიმის გადახდა, ანდა ჩვენი გუნდის დისკვალიფიკაცია. მათ იფიქრეს, რომ ჭკუა მასწავლეს და მხილებებს შევწყვეტდი. მაგრამ მე განვაგრძობდი ლაპარაკს პრესკონფერენციებზე საფრანგეთსა და ფინეთში, გამოვდიოდი ტელევიზიით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მაინცში, ხოლო კიოლნის ფიზკულტურის ინსტიტუტში ვთქვი, რომ ჩემთვის ცნობილია დიდძალი ქრთამების გაცემის ფაქტებიც, რომელსაც იმიტომ იხდიდნენ, რომ უშიშრად გაევლოთ დოპინგ-კონტროლი.

სხვათა შორის, ჩემის აზრით ფრანგმა ანდრე კორემ ევროპის ძალოსანთა ფედერაციის პრეზიდენტის პოსტი იმ წელიწადს სწორედ დოპინგისადმი შეურიგებელი პოზიციის გამო დაკარგა. ჩვენ ერთობლივად გამოვდიოდით. ფრანგული გაზეთები წერდნენ, რომ კორემ კრახი რუსის მხარდაჭერისთვის განიცადაო.

● **საერთაშორისო მასშტაბით ანაბოლიკების წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებამდე იქნებ უკეთესი იყოს ფედერაციების ხელმძღვანელებმა ჯერ საკუთარ „მეურნეობაში“ დაამყარონ წესრიგი?**

— ეს ყველაფერი ურთიერთკავშირშია. შეუძლებელია იწეოდე დოპინგსაწინააღმდეგო ბრძოლას ერთ რომელიმე ქვეყანაში — მისი წარმომადგენლები წინასწარვე განზე გაგიდგებიან, რადგან მათთვის მთავარია ოქროს მედლები. მე ვეცადე ამ სფეროში თანამშრომლობა დამემყარებინა, მაგრამ ძალოსნობაში წამყვან ქვეყნებში სპეციალისტებმა ისეთი სახე მიიღეს, თითქოს ეს პრობლემა არ არსებობდეს.

● **მაგრამ ხომ არსებობენ დოპინგსაწინააღმდეგო ცენტრები, რომლებსაც ამ სენის წინააღმდეგ ბრძოლა ევალებათ...**

— ეს მშვიდობიანი თვალთმაქცობაა. ყველა მაღალი კლასის სპორტსმენმა დიდი ხანია იცის, რაზე შეიძლება „დაიჭირონ“ და როგორ აარიდოს ამას თავი. ტყუილად კი არ თქვა ერთხელ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სამედიცინო კომისიის ხელმძღვანელმა, პრინცმა დე მეროდმა, რომ მრავალი ეროვნული ანტისადოპინგო ლაბორატორიების მიზანი დამრღვევთა მხილება კი არა, მათი დაფარვაა, რათა შეჯიბრების დღეს მათ აკრძალული პრეპარატები არ აღმოუჩინონო.

დოპინგის მიმართ ჩემმა შეურიგებლობამ თანდათან გააღიზიანა სპორტსახკომის ხელმძღვანელობა. მით უმეტეს, რომ ყველაფერთან ერთად უფროსი მწვრთნელის დემოკრატიული არჩევა ჩავატარე (ახლა ქვეყნის ნაკრებს ალექსეი მედვედევი ხელმძღვანელობს და მისი მუშაობის პერიოდში გუნდში შედეგები გაიზარდა. მ. ვ.) და მოვითხოვდი, რომ ასეთსავე საფუძველზე გადახალისებულიყო სპორტსახკომის შესაბამისი განყოფილების შემადგენლობა, მაგრამ ჩემს ირგვლივ სიცარიელე ვიგრძენი...

● **ვიცი, ტელემაყურებლებში და ჩვენი გაზეთის მკითხველებში დიდი გამოხმაურება გამოიწვია თქვენმა მონათხრობმა იმის შესახებ, თუ როგორ ზიანდება ბავშვების ორგანიზმი დიდ სპორტში.**

— მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ დასავლეთში ბავშვთა სპორტი განიხილებოდა როგორც პროფესიონალიზმის არაადამიანური ფორმა. მართლაც, რის გულისთვის ამახინჯებენ 12-13 წლის გოგონებს, მაგალითად სპორტულ ტანვარჯიშში, ცურვაში, სხვა სახეობებში. ჩვენთანაც, ძალოსნობაში, მკვეთრი გაახალგაზრდავება სასიკეთოს არაფერს გვპირდება. რა ძნელი გასაგებია, რომ ბავშვის ორგანიზმს ზიანის მიღების გარეშე არ შეუძლია წინ აღუდგეს იმ ბრძოლის სისასტიკეს, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, უფროსთა წილად მოდის? მაგრამ სხდომებზე ბავშვთა მწვრთნელები მეუბნებიან, რომ მე ჩვენი სპორტის საფუძველს ვუთხრი ძირს. ჩემთვის ძნელია გავუგო ადამიანებს, რომლებიც სინდისის ყოველგვარი ქენჯნის გარეშე ასახიჩრებენ ბავშვებს. მაგრამ ასეა თუ ისე, სპორტსახკომის ხელმძღვანელებში მათი სიტყვები ჰპოვებენ გამოძახილს და არა ჩემი.

● **ამას რაიმე კონკრეტული ნაბიჯები თუ მოჰყვა?**

— ყოველ შემთხვევაში, 1987 წლის მაისში მაინცში გამოსვლის შემდეგ მე აღარსად წავსულვარ. შემდეგ კი... მე შემომთავაზეს ათლეტიზმის ფედერაციის ხელმძღვანელობა.

ჩემის აზრით, სპორტში უარყოფითი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა ჯერჯერობით ფორმალურად, მხოლოდ სიტყვიერად წარმოებს. ვფიქრობ, რომ სპორტსახკომის საქმიანობის ამ სფეროში ჯერ არ შეჭრილა საჯაროობის სხივი. დიდ სპორტში არსებობს გარეშე თვალისგან ფარული კავშირები, აგებულნი „წრიულ“ ურთიერთგატანაზე. გამორჩენა კი — ათასნაირია: შეკრებები (არსებითად, ესაა უფასო დასვენება საკურორტო ადგილზე), მსაჯობის წოდება და, ბოლოს, მწვრთნელთა ხანგრძლივი ვადით გამგზავრება უცხოეთში, გამგზავრება ნაკრებ გუნდებთან ერთად — ყველაფერი ეს დიდი ფულია და ზოგჯერ — დაუმსახურებელიც... ასეთ ამბავში კი ჩემისთანები — ზედმეტნი ვართ.

● **თქვენთვის ალბათ, ადვილია განსაჯოთ — თქვენ ხომ ათლეტიზმის ფედერაციის თავმჯდომარის თანამდებობა დატოვეთ და მწერლობას ეწევით. რაღა გააკეთონ თქვენმა ყოფილმა კოლეგებმა — სხვა ფედერაციის მუშაკებმა, სპორტულმა ორგანიზატორებმა, რომლებისთვის სპორტი — პირველ ყოვლისა მასების ჯანმრთელობაა?**

— მე მათ მოვუწოდებდი დაფიქრებულიყვნენ ასეთ რამეზე: ბევრ ქვეყანაში სპორტის სახეობებს ფედერაციები ხელმძღვანელობენ. ისინი ატარებენ შეჯიბრებებსა და შეკრებებს, აწყობენ მგზავრობებს. გვჭირდება თუ არა ჩვენ ისეთი ორგანიზაცია, როგორიც სპორტსახკომია ამჟამინდელი სახით, — რომელიც არავითარ პასუხისმგებლობას არ კისრულობს იმის გამო, რომ ბავშვები სკოლას ფიზიკურად ცუდად განვითარებულნი, სუსტი ჯანმრთელობით ამთავრებენ, რომ მასობრივი ფიზკულტურა როგორც იყო, ისევე მხოლოდ ქაღალდზე დარჩა... იქნებ შესაძლოა, გავყოთ სპორტსახკომი ორ ორგანიზაციად — დაე, ერთი დიდი სპორტით იყოს დაკავებული, მეორე — სახალხო, მასობრივით. და სასურველია, რომ იქ რაც შეიძლება ნაკლები ჩინოვნიკი მუშაობდეს, რომელთა კეთილდღეობას ნიჭიერი სპორტსმენები უზრუნველყოფენ, ზოგჯერ საკუთარი ჯანმრთელობის ფასად.

საუბარს წარმართავდა **მარკ ვოდორეზოვი.**

„მოსკოვსკიე ნოვოსტი“,
№ 37, 1988 წ.

ფსიქოთერაპია და სპორტი

# თავს კარგად გრძნობთ, სპორტსმენებო?

**სააკამათო** არ არის, რომ ძალიან მივეჩვიეთ არასწორ აზრს, თითქოს უმაღლესი მიღწევებისთვის მებრძოლი სპორტსმენები შეჯიბრებისათვის განკუთვნილი მანქანები იყვნენ. ხშირად გვავიწყდება, რომ ისინი მგრძნობიარე ფსიქიკის ადამიანები არიან.

დენი ბარო, პარიზის ფიზიკური აღზრდის უმაღლესი ნაციონალური ინსტიტუტის სამედიცინო განყოფილების ხელმძღვანელი, ესაუბრება გაზეთ „ლიბერასიონის“ წარმომადგენელს. საუბარი ეხება ფსიქიატრიაში არსებულ თერაპიულ მეთოდებს და იმ ზიანს, რასაც ე. წ. „სასწაულთმოქმედნი“ გვაყენებენ.

— როცა ამ თანამდებობაზე დავინიშნე, — ამბობს დენი ბარო, — განსხვავებას ვერ ვხედავდი ყურის, ცხვირის, ანდა ყელის ექიმსა და ფსიქიატრს შორის, მაგრამ თანამედროვე სპორტი გვაიძულებს ყურადღებით შევისწავლოთ სპორტულ ფსიქოთერაპიასთან დაკავშირებული პრობლემები.

● **მაშასადამე, სპორტსმენებს სჭირდებათ ფსიქოთერაპია?**

— სპორტი იწვევს პათოლოგიური ხასიათის ცვლილებებს, რომლებიც ზოგჯერ მკურნალობას საჭიროებს. საუკეთესო სპორტსმენები — ინდივიდები არიან, ისინი, როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქიკურად, ხშირად ვერ თავსდებიან ნორმის საზღვრებში თავიანთი გაუბზარავი, მონოლითური ხასიათის გამო, მათთვის ნორმალური ფსიქიკური ქმედება გამორიცხულია.

● **სიტყვები: „ვერ თავსდებიან ნორმის საზღვრებში“, შემაშფოთებლად ისმის...**

— საკმარისი არ არის გაგაჩნდეს ფიზიკური მონაცემები, საქმე ისაა, მათი გამოაშკარავების სურვილი გქონდეს. ძალზე ძნელია გაიგო, თუ რას ნიშნავს „სპორტული სული“: სპორტსმენებს უდიდესი ტანჯვის გადატანა უხდებათ, საოცარ დატვირთვას იღებენ, ზოგჯერ თავიანთი უპირატესობის დამტკიცების მიზნით აგრესიულობასაც იჩენენ — მე ამას ფსიქიკურ გადახრას ვუწოდებ. ამასთანავე, არ შეიძლება ვინმეს ვუმკურნალოთ ნორმალური ფსიქიკური ქმედების აღდგენის მიზნით მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ იგი უცნაურ ტიპად გვეჩვენება — ადამიანური ინდივიდუალობა პატივისცემის ღირსია.

● **სულ უფრო და უფრო იზრდება იმ სპეციალისტთა რიცხვი, რომლებიც სპორტსმენთა ფსიქიკას სწავლობენ. ეს ტენდენცია ცოტათი ქაოსური ხომ არ არის?**

— დიდი ყურადღება გვმართებს. მე მაოცებს ის ფაქტი, რომ სპორტსმენების გარშემო ამდენი სოფროლოგი აღმოჩნდა — ისინი 60-იან წლებში შემუშავებული იდეალისტური თეორიის მიმდევრები არიან. ამ თეორიის ავტორები ამტკიცებენ, რომ შეჯიბრების შედეგს განაპირობებს სპორტსმენის ფსიქიკური მდგომარეობა, რომელიც რეგულირებულია წარმოსახვისა და ვარჯიშების მეშვეობით, ეს უკანასკნელი კი ნასესხებია იოგასაგან, ძენისა და ჰიპნოზისაგან. არ არსებობს შეჯიბრების ორი, აბსოლუტურად ერთნაირი მონაწილე. როცა სიტყვა „მეთოდი“ მხოლობით რიცხვში მესმის, თავდაცვის პოზიციას ვიკავებ: საჭიროა შემთხვევასთან თანდათანობით მიახლოვება სხვა შემთხვევების მეშვეობით. ფსიქოლოგიაში, ფსიქოთერაპიასა და ფსიქიატრიაში უნდა მუშაობდნენ მხოლოდ ძალზე კომპეტენტური სპეციალისტები, რომლებიც ერთადერთ მეთოდს კი არ გამოიყენებენ, არამედ გააანალიზებენ ყოველ ფსიქიკურ ქმედებას და შესაბამისი თერაპიული მეთოდებით უმკურნალებენ მათ. აი, რატომ ეხება ეს საკითხი ფსიქიატრს და არა ფსიქოლოგიასა და მის მომიჯნავე სპეციალობებს.

● **ინსტიტუტის ფსიქიატრიული განყოფილება იძლევა რეცეპტებს?**

— კვირაში ორჯერ ვატარებთ კონსულტაციებს და შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ყოველთვის სავსეა კაბინეტები. ჩვენ მოგვმართავენ როგორც უმნიშვნელო დაზიანების, ისე სერიოზული დაავადების შემთხვევაში.

● **არის შემთხვევები, როცა პაროქსიზმის მდგომარეობას აღწევენ?**

— სერიოზული შემთხვევების უმრავლესობა სპორტსმენების ემოციური წონასწორობის დარღვევითაა გამოწვეული. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, დავეხმაროთ მათ სიძნელეების დაძლევაში.

● **რომელია ყველაზე მეტად გავრცელებული დრამატული ხასიათის გართულება?**

— ხშირია დეპრესიის შემთხვევები. სამწუხაროა, რომ მათი უმეტესი ნაწილი დაკავშირებულია პრესაში სპორტსმენების შესახებ გამოქვეყნებული მასალის შინაარსთან — ჟურნალისტები ძალზე ხშირად წერენ სპორტსმენების პირადი ცხოვრების შესახებ, ზოგიერთი მათგანი უყოყმანოდ თხზავს არარსებულ კონფლიქტს მწვრთნელთან. ყოველივე ზემოთქმული ხშირად სერიოზული დეპრესიის მიზეზი ხდება, იმდენად სერიოზულისა, რომ ზოგჯერ სპორტული კარიერის დასასრულის საბაბიც ხდება ხოლმე, გვხვდებიან ისეთი სპორტსმენებიც, რომლებიც დატვირთვას ვერ იტანენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დაწოლის გამო. საკმარისია ისინი წარმოვიდგინოთ როგორც ჩვენი იმედები ოლიმპიურ თამაშებზე, რომ იქვევს გაიმეორებენ მწვრთნელებიც, ხელმძღვანელი მუშაკებიც კი სამინისტროდან და... ბოლოს სპორტსმენის ფსიქიკა იმსხვრევა.

● **სპორტის რომელ სახეობაში გვხვდება უფრო მეტი რაოდენობით ფსიქიკური დაავადებები?**

— გაგაოცებთ ჩემი პასუხი. მაგალითად, მიზანში სროლას ავადმყოფურ ცვლილებებამდე მივყევართ, ზოგჯერ — აუცილებელია ძალების დიდი კონცენტრაცია გასროლის წინ, მერე კი ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს.

● **ადგილი, რომელიც სპორტს უჭირავს ჩვენს საზოგადოებაში და „ვარსკვლავებად“ ნაადრევად აღიარება არ აძლიერებს პათოლოგიურ მოვლენებს?**

— დიახ, რა თქმა უნდა, რადგანაც „ვარსკვლავად“ აღიარება განსაზღვრავს სპორტსმენის დამოკიდებულებას თავის ახლობლებთან. კერპის შექმნა აფუჭებს დამოკიდებულებას. ახალგაზრდა კაცი აღიქვამს ამ ფაქტს როგორც პატიოსნებისა და გულწრფელობის დეფიციტს და თავის თავში იკეტება. ასეთ შემთხვევაში მან უნდა იპოვოს ვინმე, ვისთანაც გულახდილ საუბარს შეძლებს, ეს კი საკმაოდ ძნელი საქმეა, რადგანაც ხშირად მწვრთნელი მხოლოდ სელექციონერია, ამხანაგი კი — კონკურენტი. აი, რატომ გვევლინებიან ზოგჯერ ექიმები მოძღვრის როლში.

● **ფსიქიკური ანომალიის არსებობის შემთხვევაში ეკისრებათ თუ არა პასუხისმგებლობა მშობლებს?**

— ხდება ხოლმე, უმეტეს წილად ჩოგბურთსა და ტანვარჯიშში. არსებობენ მშობლები, რომლებიც საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად ძალას ატანენ თავიანთ შვილებს, ზოგიერთი მათგანი ამას სჩადის ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე. ასეთი ძალდატანება ახალგაზრდის ფსიქიკას სერიოზულ ზიანს აყენებს.

● **როდესაც ყველა ზემოაღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზებს ვეძებთ, ხომ არ ხდება ჯერაპიის ბოროტად გამოყენება?**

— ეს ძალიან დიდი პრობლემაა, რადგანაც ზოგიერთი შარლატანი მკურნალის სახელზე აცხადებს პრეტენზიას. ისინი ახლა მოდაში არიან და ხანდახან მათ მიერ დაწყებული მკურნალობა კატასტროფამდე მიდის.

● **შეგიძლიათ რაიმე კონკრეტული შემთხვევა დაგვისახელოთ?**

— არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ჩვენთან მოვიდა სრულიად ახალგაზრდა, 10 წლის სპორტსმენი, რომელმაც სოფროლოგთან იმკურნალა და ამის შემდეგ მიღებული ტრავმისაგან გონება დაკარგა.

● **დიდია სოფროლოგთა რიცხვი?**

— ბევრნი არიან. ვიმეორებ: პრობლემები ძალზე რთულია და აუცილებელია, დაუყოვნებლივ დაიწყოს ფსიქოლოგების სწავლება, თანაც არა საერთო, არამედ სპეციალიზებული კვალიფიკაციით. ჩვენ კლინიკური ფსიქოლოგები გვჭირდება, საფრანგეთი მათ ნაკლებობას განიცდის.

● **რაში მდგომარეობს ფსევდომკურნალთა შეცდომა?**

— ჰიპნოზში! მას შემდეგ, რაც აიძულებენ პაციენტს, მთლიანად მოეშვას, ეს ჰიპნოტიზიორები მას არარეალურ ამბებს ჩააგონებენ: არწმუნებენ, რომ იგი საუკეთესოა, რომ იგი ჩემპიონი გახდება, მიუხედავად იმისა, რომ სპორტსმენს შეიძლება არც გააჩნდეს რეალური შანსი ჩემპიონობისა. ერთი სიტყვით, ყველანაირ ამქვეყნიურ სიკეთეს, ნეტარებას აღუთქვამენ. სოფროლოგები თავიანთი საქციელით საფრთხეს უქმნიან კვალიფიციურ მკურნალებს, თანაც სპორტსმენები მათზე დამოკიდებულნი ხდებიან. გაიხსენეთ პიოლინე, მსოფლიო ჩემპიონი ტრამპლინიდან ხტომაში — გამარჯვების შემდეგ იგი თავის მშობლებთან და მწვრთნელებთან კი არ წასულა, არამედ დაუყოვნებლივ გაეშურა სოფროლოგთან.

ბულგარულიდან თარგმნა **ნინო სიხარულიძემ.**

ლახტის წრეში

ბათუმი. „ლელოს“ საკორესპონდენტო პუნქტი

# საპარჯიშოდ მეზობელ სოფელში...

ქობულეთის რაიონის სოფელი მუხაესტატე ერთ-ერთი მოწინავეა აჭარაში. კოლმეურნეობა (თავმჯდომარე თ. ნოღაიდელი) სასოფლო-სამეურნეო დავალებებს ყოველწლიურად დიდი გადაჭარბებით ასრულებს, რაშიც წონადი წვლილი შეაქვთ აქაურ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს. მათ იციან შრომის ყადრი, უყვართ ფიზიკური კულტურა და სპორტი. ამ წერილში შეიძლებოდა აქაური ახალგაზრდების სპორტულ მიღწევებზე გველაპარაკა, მაგრამ საკორესპონდენტო პუნქტში 5 მუხაესტატელი ჭაბუკის სტუმრობამ სულ სხვა რამ დაგვაწერინა.

— ჩვენ — ემზარ სეიდიშვილი, რომან გოგიტიძე, ნუკრი ქათამაძე, ოთარ ჯაფარიძე, ჯანსულ ჯინჭარაძე — მუხაესტატელები ვართ, ფეხბურთის გუნდის „მერცხალის“ წევრები, — გვითხრეს მათ. — დახმარების სათხოვნელად მოვედით. ყინული იქნებ თქვენმა გაზეთმა მაინც გაალღოს და 5 წლის წინათ დაწყებული ფეხბურთის მოედნის მშენებლობას საშველი დაადგეს.

ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობსო. ჩვენც მუხაესტატეს ვეწვიეთ. ჩაის ალოობა იყო და თავმჯდომარე ვერ ვნახეთ, მაგრამ როცა საკუთარი თვალით საფეხბურთო მოედნის მშენებლობა დავათვალიერეთ.... არა, რა მშენებლობაზეა ლაპარაკი — ბულდოზერს გორაკის ფერდობი ჩამოუჭრია, მოედნისათვის გათვალისწინებულ ფართობზე მიწა აუზელ-დაუზელია. სხვა არაფერი გაკეთებულა და იქაურობა მიუტოვებიათ. 5 წელი გასულა და დღესაც იგივე სურათია.

— თავმჯდომარეზე, ეს მოედანი რომ არა, სასაყვედურო არაფერი გვეთქმის — გვეუბნებიან ფეხბურთელთა გუნდის წევრები, — ფორმაც გვიყიდა, ბურთებიც, მანქანაც გამოგვიყო მეზობელი ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის მოედანზე სავარჯიშოდ გამგზავრებისათვის.

ახლა მუხაესტატეს კოლმეურნეობის გუნდი აჭარის ჩემპიონატში გამოდის. იგი შეჯიბრებაზე პირობითაა დაშვებული, რადგან დებულებით, ჩემპიონატის მონაწილე კოლექტივს საკუთარი მოედანი უნდა ჰქონდეს. გარდა ამისა, მართალია, სავარჯიშოდ გუნდის სხვა მოედანზე გადასაყვანგადმოსაყვანად ავტომანქანაცაა გამოყოფილი, მაგრამ ყველაფერ ამას ხომ დრო უნდა, დრო, რომელიც აგრერიგად ფასობს სოფლის მცხოვრებთათვის. ფეხბურთელები ხომ შრომის აქტიური მონაწილენიც არიან.

ახლა იმაზეც ვიფიქროთ, რომ ფეხბურთი ერთი გუნდის წევრთა გარდა, სხვა მუხაესტატელ ახალგაზრდებსა და მოზარდებსაც უყვართ. ბუნებრივია, ფეხბურთის მოედანს ისინიც მოითხოვენ. სწორედ აქ, ასეთ პირობებში მუხაესტატეში აღიზარდა სამი ახალგაზრდა, რომლებიც ახლა ქობულეთის „ნარინჯის“ ღირსებას იცავენ.

ასე რომ, მუხაესტატელებს სხვისი მოედნის მოიმედედ ყოფნა არას არგებთ. საკუთარი მოედანია საჭირო, ვინძლო მუხაესტატეში კვლავაც დაიზარდონ ტყავის ბურთის ოსტატები, რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას რომ სახახელოდ დაიცავენ.

ლევან ქავჟარაძე,
„ლელოს“ საკ. კორ.

ქობულეთის რაიონი,
სოფ. მუხაესტატე.

## გაიცანით: „დინამო“ (ზუგდიდი), „მგრისი“ (ცხაკაია)

საქართველოს პირველობა

ორივე გუნდი ფეხბურთის მოყვარულთათვის კარგად არის ცნობილი. ისინი საქართველოს პირველობის ძველი ბინადრები არიან. ზუგდიდის „დინამო“ 1974–80 წლებში საკავშირო პირველობის „ა“ კლასის მეორე ლიგაში გამოდიოდა, 1978 წელს თავის ზონაში მესამე ადგილიც დაიკავა. ფლობდა ზონაში გათამაშებულ შოთა შავგულიძის სახელობის თასს. შემდეგ გუნდმა დათმო პოზიციები, 1981 წლიდან მას საქართველოს პირველობაზე მოასპარეზეთა შორის ვხედავთ. 1984 წელს დინამოელებმა საქართველოს თასი მოიპოვეს.

ოსტატთა გუნდებში სხვადასხვა დროს გამოდიოდნენ ზუგდიდელები შ. კიტია, ვ. ქირია, ა. ჩიჩუა, გ. ხოჭოლავა, ბ. სიჭინავა, ზ. ბულია. დღეს თბილისის „დინამოში“ თამაშობენ ოთარ გაბელია, სოსო ჭედია, ბათუმის „დინამოში“ — მელორ ბიგვავა, რევაზ მაქაცარია და სხვ.

გუნდის უფროსია ჯემალ გოგია, მწვრთნელებად მუშაობენ ავთანდილ დანელია და ჯემალ ქუსილავა. მათი მეცადინეობით გუნდი ადგილობრივი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული

გუნდი შევსებას სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ზუგდიდის საბჭოს ფეხბურთის მოსამზადებელი ჯგუფებიდან იღებს (მწვრთნელები ბორის შურღაია, გივი კობახიძე, გიორგი კალანდია), სადაც 110 ბავშვი სწავლობს. შექმნილია, აგრეთვე, ერთი ფასიანი ჯგუფიც, საიდანაც არაერთი ნიჭიერი ფეხბურთელი მიიღო ზუგდიდის „დინამომ“. ზ. აფაქიძე, შ. დარასელია, დ. ეროზია, ლ. გურგედავა პერსპექტიულ ფეხბურთელებად ითვლებიან. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ წინა წლებთან შედარებით გუნდი გაახალგაზრდავდა, საშუალო ასაკი 23 წელია.

ცხაკაიას ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ ყველა პირობა შეუქმნა გუნდს ნორმალური ვარჯიშისთვის და ასპარეზობისთვის. უკანასკნელ წლებში აქ ბევრი რამ გაკეთდა სპორტული ბაზების გაუმჯობესებისთვის. გუნდმა წლეულს თაობათა ცვლა განიცადა. ორი ფეხბურთელი მიიწვიეს ქუთაისის „ტორპედოში“, მოთამაშეთა ნაწილი სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს, ზოგიერთმა კი თამაშს თავი დაანება. გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მწვრთნელმა გულიკო ოდიშარიამ და მწვრთნელმა ვასილ კიკალეიშვილმა აქცენტი ახალგაზრდებზე გადაიტანეს. გუნდის საშუალო ასაკი 22 წელია. ეს შესაბამი მაგალითია. განათლების განყოფილების სპორტულ სკოლაში (დირექტორი დ. კიტოვანი) 6 ჯგუფი მუშაობს, სადაც 150 ბავშვი სწავლობს ფეხბურთის საიდუმლოებას. სკოლის პერსპექტიულ ფეხბურთელებს გზა ხსნილი აქვთ „ეგრისში“. ასე მოვიდნენ გუნდში 1970-72 წლებში დაბადებულები გ. ფიფია, კ. ალანია და სხვები. მათი მეგობრები გ. დარასელია და ი. გაბესკირია კი ქუთაისის „ტორპედოში“ თამაშობენ. ცხაკაიას „ეგრისში“ ორი მოწვეული ფეხბურთელი თამაშობს, სეზონის დასაწყისში სოხუმის „დინამოდან“ გადმოვიდა ახალგაზრდა ფეხბურთელი გ. ჯიჯელავა და აბაშის „ზანადან“ ნ. ნოდია.

ოსტატთა გუნდებში სხვადასხვა დროს თამაშობდნენ ვ. ბაღუაშვილი, ო. ნარსია, თ. და ი. ესებუები, თბილისის „ლოკომოტივში“ მ. ძაგანია და რ. გოგია.

„ეგრისი“ 1970 წელს ფლობდა საქართველოს თასს, არაერთხელ იყო რესპუბლიკის პირველობის პრიზიორი.

4 ოქტომბერს ეს გუნდები მეორე წრის კალენდარულ მატჩში ზუგდიდში შეხვდნენ ერთმანეთს. პირველი წრის შეხვედრა ცხაკაიაში ფრედ დამთავრდა — 1:1. დღეს დინამოელები მესამე ადგილზე იმყოფებიან და მხოლოდ ქულით ჩამორჩებიან ლიდერებს ხობის „კოლხეთს“ და ვანის „სულორს“; ცხაკაიელებმა კი ყველა ღონე უნდა იხმარონ თავი რომ დააღწიონ სახიფათო ზონას, ამიტომაც ზუგდიდში მათგან მეტ მონდომებულ თამაშს მოელოდა მაყურებელი. ეს ასე არ მოხდა. ცხაკაიელთა თამაშს აკლდა სიმწვავე და, რაც მთავარია, დამარცხებისგან თავის დაღწევის სურვილი. ეს პოზიცია თავიდანვე გამოიკვეთა, როცა მე-15 წუთზე ანგარიში იყო 2:0 მასპინძლების სასარგებლოდ, ხოლო ტაიმის დასასრულს ანგარიში სამამდე გაიზარდა, ცხაკაიელებმა კი პირველ ნახევარში მხოლოდ ერთი ბურთის გატანა შეძლეს. ზუგდიდელებმა მეორე ნახევარშიც სამი ბურთი გაიტანეს, ცხაკაიელებმა კი კვლავ ერთი. დიდი ანგარიშით — 6:2 გაიმარჯვა „დინამომ“. ბურთები ზუგდიდელთაგან გაიტანეს მალანიამ-2, ხვიტიამ-2, აფაქიძემ და თუთბერიძემ, ცხაკაიელთაგან — ჯიჯელავამ და შონიამ. მსაჯთან შეკამათებისთვის ყვითელი ბარათი დაიმსახურა ეგრისელმა ი. გერგელმა.

მატჩს სჯიდა თბილისის მსაჯთა ბრიგადა, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯების მალხაზ კობიაშვილის, თენგიზ სადილიანის, ვადიმ ალიევის შემადგენლობით. მატჩის კომისარი იყო გიორგი კვირკველია.

ნუგზარ ჟვანია.
„ლელოს“ საკ. კორ.

ზუგდიდი.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

გთავაზობთ I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 31-ე ტურის სტატისტიკურ მონაცემებს.

„კოლხი“ (ნიკოპოლი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 0:3 (0:0). გოლები: ხლუსი, ჟორდანია, იავორსკი.

„მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „დინამო“ (ბათუმი) — 1:1 (0:1). ბათუმელთაგან 42-ე წუთზე ბურთი გაიტანა მჭედლიშვილმა. გააფრთხილეს დინამოელი ფირცხალავა.

## უეფა—ს თასზე

უეფა-ს ტურნირის ოცდამეთორმეტედფინალში გაიმართა ისლანდიის „აკრანესისა“ და უნგრეთის „უიპეშტ დოჟას“ ფეხბურთელთა შეხვედრა. მატჩი შედგა რეიკიავიკში და დამთავრდა ფრედ — 0:0.

## ვეტერანები ყაზბეგში

საქართველოს მთიან რეგიონს ყაზბეგს ამ დღეებში თბილისის „დინამოს“ ვეტერან ფეხბურთელთა გუნდი ეწვია. რამდენიმე წლის წინათ ყაზბეგში ანალოგიური შეხვედრის გამართვა, ალბათ, შეუძლებელი იყო, ახლა კი მასპინძლებმა მატჩი საუცხოოდ მოვლილ მინდორზე გამართეს, სადაც თბილისის ვეტერანთა პირისპირ ყაზბეგელთა ახალგაზრდული გუნდი წარსდგა.

მაყურებელი ტაშით აჯილდოვებდა დინამოელებს, თბილისელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ცდა არ დაუკლიათ, რათა ლამაზი თამაში ეჩვენებინათ დამსწრეთათვის.

თამაშის ბედი გადაწყვიტა სლავა მეტრეველის მიერ გატანილმა ერთადერთმა ბურთმა — 1:0. ამ ანგარიშით გაიმარჯვეს დინამოელებმა.

თბილისელთა შემადგენლობაში გამოდიოდნენ: რ. ურუშაძე, დ. გოგია, ბ. სიჭინავა, თ. კოსტავა, ა. ილიაძე, ს. მეტრეველი, დ. მუჯირი, გ. ჭილაძე, ვ. კოპალეიშვილი, ზ. ებრალიძე, ლ. ნოდია, დ. ხუნდაძე, თ. სახვაძე, გ. მაჩაიძე, ნ. ხიზანიშვილი, ბ. მჭედლიშვილი.

ილო მეძღლიშვილი.

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

„საიდან იწყება უწესრიგობა“

# პასუხი საქმით

ჩვენი გაზეთის 3 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა რეპლიკა „საიდან იწყება უწესრიგობა“, სადაც ლაპარაკი იყო იმის შესახებაც, რომ თბილისის „დინამოს“ სტადიონის პრესის ლოჟაში ხშირად ადგილს იკავებენ გარეშე მაყურებლები. იმ დღესაც, როცა საქართველოს საფეხბურთო თასის ფინალურ მატჩში ერთმანეთს ხვდებოდნენ წყალტუბოს „შადრევანი“ და ბოლნისის „მადნეული“, ამ ლოჟაში თვითნებურად მოკალათებულმა ბოლნისელმა გულშემატკივრებმა ბილწსიტყვაობით და აყალმაყალით აიკლეს იქაურობა, ჟურნალისტებს თავიანთ სამუშაო ადგილზე ხელს უშლიდნენ ნორმალურ მუშაობაში (თუმცა, საერთო აზრისა და შთაბეჭდილების საწინააღმდეგოდ დოცენტი ლადო მინაშვილი ამ დღეებში შეეცადა პრესაში საწინააღმდეგო დაემტკიცებინა, მაგრამ ამაზე დაწვრილებით სხვა დროს).

8 სექტემბერს თბილისელ და კიეველ დინამოელთა მატჩის დროს პრესის ლოჟასთან უკვე იდგა საგანგებოდ გამოყოფილი კონტროლიორი და იქ მხოლოდ მათ უშვებდა, ვისაც საამისო უფლება აქვს. სპორტკომბინატის დირექციამ გაზეთის კრიტიკულ შენიშვნაზე საქმით ოპერატიული რეაგირების კარგი მაგალითი მოგვცა.

## მზადება შორიდანვე დაიწყეს

მას შემდეგ, რაც აშშ-მ მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის ჩატარების უფლება მიიღო, გადაწყდა ამ ქვეყნის საფეხბურთო ცხოვრების მთლიანი რეორგანიზაცია. ეს მსოფლიო ჩემპიონატისთვის უკეთ მომზადების მიზნით გაკეთდება.

1989 წლიდან მოყოლებული, აშშ-ში ფეხბურთის სამი ლიგა არსდება. პირველი პროფესიული ლიგა იქნება, მეორე და მესამე კი სამოყვარულო. ამ სამოყვარულო ლიგების მიზანი იქნება პროფესიული ლიგების ფეხბურთელებით მომარაგება. ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ არის, დაუშვებენ თუ არა პროფესიულ ლიგაში უცხოელ ფეხბურთელებს.

აშშ-ს ფეხბურთის ფედერაციამ თხოვნით მიმართა ფიფა-ს, რათა მან სათანადო სპეციალისტები გაუგზავნოს ეროვნული ჩემპიონატის უკეთ წარსამართავად და სხვადასხვა ორგანიზაციული საკითხების მოსაგვარებლად.

## საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

გაიმართა ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი მატჩები.

**საფრანგეთი**

IX ტური. „სენ ჟერმენი“ — „ოსერი“ 2:2, „ბორდო“ — „სტრასბურგი“ 2:0, „კანი“ — „სოშო“ 2:0, „მონაკო“ — „ტულუზა“ 1:0, „ნანტი“ — „სენტ-ეტიენი“ 1:1, „ტულონი“ — „ნიცა“ 0:0, „ლავალი“ — „მარსელი“ 0:1, „კაენი“ — „ლილი“ 2:1, „მეცი“ — „მონპელიე“ 1:2, „ლანი“ — „რესინგი“ 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სენ ჟერმენი“ | 8 | 12-2 | 19 |
| „ბორდო“ | 8 | 15-4 | 18 |
| „მონაკო“ | 9 | 11-5 | 17 |

**ავსტრია**

VIII ტური. „ლასკ“ — „ადმირა“ 0:2, „კლაგენფურტი“ — „ვიენა“ 2:2, „ავსტრია“ — „შტურმი“ 3:1, „გრაცერი“ — „რაპიდი“ 3:1, „შტეირი“ — „ტიროლი“ 0:5, „ვინერ სკ“ — „სენტ პოლტენი“ 4:2.

| | | |
|---|---|---|
| „სენტ პოლტენი“ | 8 | 13 |
| „ტიროლი“ | 8 | 12 |
| აუსტრია | 8 | 12 |

**შვეიცარია**

VIII ტური. „არაუ“ — „სენტ გალენი“ 5:0, „ლოზანა“ — „ლუცერნი“ 0:0, „ლუგანო“ — „ქსამაქსი“ 1:0, „სერვეტი“ — „ვეტინგენი“ 1:1, „სიონი“ — „გრასჰოპერსი“ 0:0, „იანგ ბოისი“ — „ბელინცონა“ 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ლუცერნი“ | 8 | 11-8 | 12 |
| „გრასჰოპერსი“ | 8 | 13-5 | 11 |
| „ბელინცონა“ | 7 | 13-6 | 9 |

**გფრ**

V ტური. „ჰანოვერი“ — „ლევერკუზენი“ 2:2, „ნიურნბერგი“ — „ბოხუმი“ 3:1, „სენტ პაული“ — „შტუტგარტი“ 2:1, „იურდინგენი“ — „აინტრახტი“ 4:1, „ბაიერნი“ „კაიზერსლაუტერნი“ 5:1, „კიოლნი“ — „კარლსრუე“ 6:1, „შტუტგარტ კიკერსი“ — „ჰამბურგი“ 2:0, „დორტმუნდი“ — „მიონჰენგლადბახი“ 0:0, „მანჰეიმი“ — „ვერდერი“ 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბაიერნი“ | 4 | 11-3 | 7 |
| „კიოლნი“ | 5 | 10-3 | 7 |
| „იურდინგენი“ | 5 | 9-5 | 7 |

**ბელგია**

IV ტური. „კორტრიკი“ — „ბრიუგე“ 3:4, „ლიეჟი“ — „ლოკერენი“ 2:0, „ბევერენი“ — „ლიერსე“ 2:2, „სერკლი“ — „სტანდარდი“ 2:0, „გენტი“ — „ვარეგემი“ 0:1, „მოლენბეკი“ — „ანტვერპენი“ 0:2, „რესინგ-მეხელენი“ — „მეხელენი“ 0:1, „ბეერსკოტი“ — „ანდერლეხტი“ 1:4, „შარლერუა“ — „სენტ ტრიუდენი“ 0:0.

| | | |
|---|---|---|
| „ანდერლეხტი“ | 4 | 8 |
| „ბრიუგე“ | 4 | 7 |
| „ლიეჟი“ | 4 | 7 |

**ჩეხოსლოვაკია**

IV ტური. „სპარტა“ — „სლოვანი“ 5:3, „ოლომოუცი“ — „ვიტკოვიცე“ 1:1, „ბანიკი“ — „პლზენი“ 3:1, „ინტერი“ — „დუკლა“ 3:2, „რუდა ჰვეზდა“ — „ჰრადეც კრალოვე“ 2:0, „ბანსკა-ბისტრიცა“ — „ბოჰემიანსი“ 3:1, „ტრნავა“ — „დუნაისკას სტრედა“ 2:0, „სლავია“ — „ნიტრა“ 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სპარტა“ | 4 | 15-5 | 7 |
| „სლავია“ | 4 | 6-2 | 7 |
| „ვიტკოვიცე“ | 4 | 8-4 | 5 |
| „ბანიკი“ | 4 | 8-4 | 5 |

**უნგრეთი**

III ტური. „სომბათჰეი“ — „ტატაბანია“ 1:0, „დოჟა“ — „ვიდეოტონი“ 2:3, „დუნაივაროში“ — „ფერენცვაროში“ 0:2, „ვაცი“ — „ვაშაში“ 2:2 (4:2 პენალტებით), „სიოფოკი“ — „ვესპრემი“ 1:1 (2:4 პენალტებით), მტკ — „პეჩი“ 0:0 (5:3 პენალტებით), „ჰონვედი“ — „გიორი“ 0:1, „ზალაეგერსეგი“ — „ბეკეშაბა“ 0:0 (6:5 პენალტებით).

**ჰოლანდია**

III ტური. „უტრეხტი“ — „სიტარდი“ 3:1, „გრონინგენი“ — „მაასტრიხტი“ 4:1, „ჰაარლემი“ — „ფეიენოორდი“ 1:2, „ვალვიკი“ — „ვენლო“ 6:0, „ტვენტე“ — „ტილბურგი“ 0:0, „როდა“ — „ბდენ ბოში“ 3:2, „სპარტა“ — „ვეენდამი“ 3:1, „ეინდჰოვენი“ — „ვოლენდამი“ 2:0, „აიაქს“ — „ცვოლეს“ შეხვედრა გადაიდო.

| | | |
|---|---|---|
| „ცვოლე“ | 2 | 4 |
| „უტრეხტი“ | 3 | 4 |
| „სპარტა“ | 3 | 4 |

**რუმინეთი**

II ტური. „კლუჟი“ — „არჯესი“ 1:0, „სპორტული“ — „რაპიდი“ 3:0, „მორენი“ — „სტიაუა“ 1:3, „ბრაშოვი“ — „კონსტანცა“ 0:0, „ჰუნედოარსი“ — „ბაკაუ“ 4:2, „ტირგუ-მურეში“ — „გალაცი“ 1:1, „დინამო“ — „ვიქტორია“ 3:1, „ოლტი“ — „ორადეა“ 0:0, „კრაიოვა“ — „სიბიუ“ 0:2.

**ინგლისი**

I ტური. „ასტონ ვილა“ — „მილუოლი“ 2:2, „ჩარლტონი“ — „ლივერპული“ 0:3, „დერბი“ — „მიდლსბრო“ 1:0, „ევერტონი“ — „ნიუკასლი“ 4:0, „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „ქუინზ პარკი“ 0:0, „ნორვიჩი“ — „ნოტინგემი“ 2:1, „შეფილდი“ — „ლუტონი“ 1:0, „საუთ ჰემპტონი“ — „ვესთ ჰემი“ 4:0, „უიმბლდონი“ — „არსენალი“ 1:5, „ტოტენჰემ“ — „ქოვენთრის“ შეხვედრა გადაიდო.

(საქ. ინფ.).

## კვირიდან კვირამდე

**„პრავდა“ — 4 სექტემბერი.** „შეურიგებელი უთანხმოების გამო...“ ჭადრაკში სსრ კავშირის 1988 წლის ჩემპიონის გამოსავლენად უნდა გამართულიყო დამატებითი მატჩი გარი კასპაროვსა და ანატოლი კარპოვს შორის. მატჩი არ შედგა. რას ფიქრობს ამის თაობაზე მატჩის მთავარი მსაჯი მიხეილ ბოტვინიკი?

**5 სექტემბერი.** „პირველი ასი წელი“. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა სამადლობელო წერილი გამოგზავნა მოსკოვის ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ცენტრალური ინსტიტუტის სახელზე. ინტერვიუ ამ წერილის ადრესატ ოლეგ მილშტეინთან.

**„კომსომოლსკაია პრავდა“ — 6 სექტემბერი.** „სად წაიფორხილა ფიზკულტურამ“. ჩვენს ქვეყანაში ამჟამად დიდი ძვრები ხდება. ამას, რა თქმა უნდა, უზარმაზარი თანხები სჭირდება, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ფიზკულტურამ ამ საშური საქმეების ვრცელ სიაში სულ ბოლო ადგილზე უნდა გადაინაცვლოს.

**„ტრუდი“ — 6 სექტემბერი.** „კვლავ ისეთივე დავრჩები“ — თქვა ტურინის „იუვენტუსში“ სათამაშოდ გამგზავრების წინ ცნობილმა საბჭოთა ფეხბურთელმა ალექსანდრე ზავაროვმა.

**„ნედელია“ — №35.** „ოლიმპიადა-88“-ის გახსნამდე დარჩა...“ სეულის ოლიმპიადა ციფრებში.

**„სოვეტსკი სპორტი“ — 6 სექტემბერი.** „განსაკუთრებული ნიშნები ყველასთვის ცნობილია“. წერილი, რომელიც იბეჭდება რუბრიკით „თითქმის დეტექტური ისტორია“, ასე იწყება: „დაიკარგა ფეხბურთელი. დღისით-მზისით...“

**7 სექტემბერი.** „ადიოს, ფეხბურთო“! გაზეთის სტუმარია ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი დანიელ პასარელა.

**10 სექტემბერი.** „სპრინტის პრიმადონა“. ინტერვიუ ამერიკელ მძლეოსანთან, მსოფლიო რეკორდსმენთან ფლორენს გრიფიტ-ჯოინერთან.

## საჭადრაკო კომპოზიცია — ხელმძღვანელი ვაჟა ნეიძე

### „ფიდეს ალბომის“ ლაურეატი

**ახლახანს,** ზაგრებში, გამოჩენილი ხორვატი პრობლემისტის დიდოსტატ ნენად პეტროვიჩის რედაქტორობით გამოვიდა „ფიდეს ალბომი“, 1980-1982. ეს წიგნი მსოფლიოს საჭადრაკო კომპოზიციების ანთოლოგიის რიგით მეთერთმეტე ტომია და მოიცავს საჭადრაკო ხელოვნების ყველა ჟანრის 1083 ნაწარმოებს, რომლებიც ალბომის სპეციალური მსაჯების მიერ არის შერჩეული. როგორც ყოველთვის, ამ უკანასკნელ ტომშიც შესულია ჩვენი რესპუბლიკის რამდენიმე წამყვანი პრობლემისტის და ეტიუდისტის (დ. გურგენიძე, რ. თავარიანი, ვ. კალანდაძე, ი. კრიხელი, გ. ნადარეიშვილი, შ. სუხიტაშვილი) ის საუკეთესო ნაწარმოებები, რომლებიც ზემოთ აღნიშნულ პერიოდში იყო გამოქვეყნებული ან კონკურსებზე შეფასებული.

დღევანდელი გამოშვება ეძღვნება ქართული საჭადრაკო კომპოზიციის თვალსაჩინო წარმომადგენელს იოსებ კრიხელს, რომელიც ალბომში 16 ნაწარმოებით შევიდა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა შედგენის ჭეშმარიტად დიდოსტატური კლასი. რესპუბლიკის საჭადრაკო საზოგადოება კარგად იცნობს მის სპორტულ-შემოქმედებით ბიოგრაფიას, რომელიც ჯერ კიდევ გორის საშუალო სკოლაში მოწაფეობისას დაიწყო. 40 წლის წინათ მან პირველად იზეიმა გამარჯვება ჟურნალ „ზატეინიკის“ მიერ გამართულ საკავშირო კონკურსზე, სადაც ერთბაშად 5 პრიზი მოიპოვა! მას შემდეგ დაიწყო ი. კრიხელის სისტემატური გამოსვლები ჩვენი და საზღვარგარეთის საჭადრაკო პრესის ფურცლებსა და კონკურსებზე. მას ასევე ბევრჯერ წარმატებით დაუცავს ჩვენი რესპუბლიკის და საბჭოთა კავშირის სახელი სხვადასხვა რანგის სპორტულ შეჯიბრებებში, მოპოვებული აქვს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მრავალსვლიანი ამოცანების ჟანრში და საერთაშორისო დიდოსტატის წოდება. პროფესიით მათემატიკოსს, მინიჭებული აქვს ტექნიკურ მეცნიერებათა ხარისხი და მუშაობს გორის მრეწველობის საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

იგი იმ იშვიათ და მეტად თვითმყოფად ხელოვანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელსაც ერთნაირი ოსტატობით ხელეწიფება სხვადასხვა საკომპოზიციო ჟანრში მუშაობა. მას მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს მოპოვებული როგორც ორთოდოქსულ (ორსვლიანი, სამსვლიანი და მრავალსვლიანი ამოცანები, ეტიუდები), ასევე ზღაპრულ (თვითშამათი, ნადიშამათი და სხვ.) დარგებში. შემოქმედების ფართო დიაპაზონის, მასშტაბურობისა და გამარჯვებათა შთამბეჭდავი ნუსხის მხრივ ამჟამად მას მსოფლიოში ცოტა ვინმე თუ შეედრება. მისი სტილისათვის დამახასიათებელია ფორმის ეკონომიურობა და ჩანაფიქრის ორიგინალობისაკენ სწრაფვა. მას უყვარს შერჩეული ჟანრული თემის ზედმიწევნით დამუშავება, რაც წესისამებრ, ავტორისათვის სასურველი სპორტულ-შემოქმედებითი შედეგით — წარმატებით მთავრდება ხოლმე. აღსანიშნავია კომპოზიტორის საფუძვლიანი გატაცება ლოგიკური საამოცანო სკოლით, რამაც მას ავტორიტეტი და შთამბეჭდავი გამარჯვებები მოუტანა.

**ი. კრიხელი, 1980**



შამათი 8 სვლაში

უცებ არ ვარგა 1. კa7? რადგან 1. ...ე:a7! სვლის შემდეგ ლაზიერი დაბმულია. ამიტომ თეთრები ჯერ ანხორციელებენ ლოგიკური სკოლისათვის დამახასიათებელ მოსამზადებელ თამაშს, რომლის შედეგად სასურველი ფინალი უკვე მიიღწევა: 1. ლc8 (მუქარით 2. კc7+ მფa7 3. ლb8+ მფa6 4. ლ:b6×) ეb1 (საჭიროა b6 უჯრის დაცვა) 2. კc7+ მფa7 3. მფc6! (გამოწვევა) ეc1+ 4. მფd6 ეb1 5. კb8+ მფa8 6. ლc7 ეa1 7. კa7! (ახლა უკვე შეიძლება ასე თამაში, რადგან მეფე წასულია მეშვიდე ჰორიზონტალიდან) ე:a7 8. ლc8×. ლოგიკურად დახვეწილი და მეტად ეკონომიურად შექმნილი ნაწარმოებია.

შემდეგი ამოცანაც უკანასკნელი ალბომიდან არის აღებული. იგი თვითშამათზეა შედგენილი და ამოხსნა ისევ ავტორის საყვარელ ლოგიკურ კომბინაციას შეიცავს.

**ი. კრიხელი, 1980**



თვითშამათი 16 სვლაში

თეთრ მეფეს შავებმა იძულებით შამათი რომ გამოუცხადონ, ამისათვის მათი ძალების შებორკვაა საჭირო. 1. კa7+ მფa8 2. კc5+! მფb8 3. ლb5+ მფa8 4. ლe8+ მფb7 5. კc8+ მფ— 6. კf5+! (საბატარეო ხაზი შეიცვალა და ეტლს ჰორიზონტალი გადაეკეტა) მფb7 7. ლb5+ მფa8 8. ლa6+ მფb8 9. კa7+ მფa8 10. კg1+ მფb8. პოზიცია საწყისს დაემსგავსა, მხოლოდ ერთი თეთრი კუ დგას სხვა უჯრაზე. 11. ლb5+ მფa8 12. ლe8+ მფb7 13. კc8+ მფ— 14. კ:g4+! მფb7 15. კc8+! მფ— 16. კa6+ კ:c8×! გონებამახვილური და მაღალოსტატური ამოცანაა, რომელმაც გერმანულ საკომპოზიციო ჟურნალ „შვალბეს“ კონკურსზე I პრიზი დაიმსახურა.

ამოსახსნელად გთავაზობთ გორელი დიდოსტატის ორსვლიან ამოცანას, რომელიც ასევე პირველი პრიზით აღინიშნა ჟურნალ „შახმატის“ კონკურსზე და წინა „ფიდეს ალბომშია“ დასტამბული.

**ი. კრიხელი, 1977**



შამათი 2 სვლაში

ველით თქვენს ამოხსნებს, ძვირფასო მეგობრებო!

### ამოხსნა

„ლელოს“ 21 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილი კ. ჰანემანის ხუთსვლიანი ამოცანის ამოხსნაა: 1. f3 f5 2. gf (აღება გავლით) g5+ 3. hg d5 4. cd c5 5. bc×! თამაშობენ მხოლოდ პაიკები. ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც პირველმა გამოგზავნა სწორი პასუხი: რ. კახიძე (ბათუმი), ვ. გვახარია, ლ. ხარატი, გ. ფანცხავა (ყველა — თბილისი).

## რეკორდსმენი აუმჯობესებს რეკორდს

**პოტსდამი.** მძლეოსნობის ისტორიაში პირველად ქალმა შუბი 80 მეტრზე ტყორცნა. ეს მოხდა გდრ-ის მძლეოსანთა ბოლო ოლიმპიურ რეპეტიციაზე. ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა 29 წლის პეტრა ფელკემ, სპორტსმენმა რომელსაც ძველი მსოფლიო რეკორდიც ეკუთვნოდა და რომელმაც თავის ძველ მიღწევას 1,1 მეტრი დაამატა.

პეტრა ფელკე იენის უნივერსიტეტის სტუდენტია, მსოფლიო რეკორდების შტურმი მან 3 წლის წინ დაიწყო და ამ ხნის მანძილზე რეკორდების ცხრილში ოთხი შესწორება შეიტანა. სეულში იგი, რა თქმა უნდა, პირველი ნომერი ფავორიტი იქნება.

## შერეულ წყვილებში გამარჯვებულნი



**ნიუ-იორკი.** აშშ-ს ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატში პირველი გამარჯვებული გამოვლინდა. შერეულ წყვილთა ტურნირში ყველას აჯობა იანა ნოვოტნას (ჩეხოსლოვაკია) და ჯიმ პაგის (აშშ) ინტერნაციონალურმა დუეტმა.

ქალთა შეჯიბრების ნახევარფინალისტებზე უკვე ვწერდით. შეგახსენებთ, რომ ფინალში გასასვლელად იბრძვიან ერთის მხრივ შტეფი გრაფი (გფრ) და კრის ევერტი (აშშ), მეორეს მხრივ კი გაბრიელა საბატინი (არგენტინა) და ზინა ჰარისონი (აშშ). ამ უკანასკნელმა მეოთხედფინალში თვით მარტინა ნავრატილოვა (აშშ) დაამარცხა.

ვაჟთა ნახევარფინალში ითამაშებენ შარშანდელი ჩემპიონი ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია) და ამერიკული ჩოგბურთის ახალი „ვარსკვლავი“ ანდრე აგასი. მეორე წყვილს შეედი მატს ვილანდერი და ნაკლებად ცნობილი ავსტრალიელი დარენ კაჰილი შეადგენენ.

## ნახევარი წლის შემდეგ

**როგორც** ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაშია ნათქვამი, 1988 წლის პირველი ნახევრის შეჯიბრებებში მსოფლიოს № 1 ჩოგბურთელმა ქალმა შტეფი გრაფმა (გფრ) ჰონორარის სახით მიიღო 929 961 დოლარი. მეორე ადგილზეა მარტინა ნავრატილოვა (აშშ) — 617 295 დოლარი, მესამეზე პამ შრაივერი (აშშ) — 352 758 დოლარი.

ვაჟებს შორის ყველაზე მეტი ჰონორარი მიიღო უიმბლდონში გამარჯვებულმა სტეფან ედბერგმა (შვეცია) — 786 993 დოლარი. მეორე ადგილზეა ბორის ბეკერი (გფრ) — 618 560 დოლარი, ხოლო მესამეზე მატს ვილანდერი (შვეცია) — 527 751 დოლარი.

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 11 სექტემბერი.** რიტმული ტანვარჯიში — **9.15 (1);** „სპორტლოტოს“ ტირაჟი — **10.20 (1);** საფეხბურთო მიმოხილვა — **23.45 (1).**

**12 სექტემბერი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** სსრ კავშირის თასი ფეხბურთში. მერვედფინალი: „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — „დინამო“ (კიევი) — **19.25 (2).**

**საქართველოს ტელევიზია. 11 სექტემბერი.** საფეხბურთო მიმოხილვა — **23.45.**

**საქართველოს რადიო. 11 სექტემბერი.** რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“ — **14.30.**

**12 სექტემბერი.** სსრ კავშირის თასი ფეხბურთში. მერვედფინალი: ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „დინამო“ (თბილისი) — **20.00.**

## ვიწვევთ „კულტსამეურნეო საქონლის“ მაღაზია და მისი ფილიალები




**ხეულის** ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე რამდენიმე დღე რჩება. ჩვენი პლანეტის მილიონობით სპორტის მოყვარული ცისფერ ეკრანს მიუჯდება. თუ ძველმა ტელევიზორმა თავისი რესურსები ამოწურა, ახლა უკვე კარგი დროა შეიძინოთ ახალი, ანდა ოჯახში მეორე ტელევიზორის შეძენა ფუფუნებით კი არა, შინ სიმყუდროვის შენარჩუნებითაა ნაკარნახევი. მაშ, ნულარ დააყოვნებთ და ეწვიეთ ფირმა „კულტსამეურნეო საქონლის“ სათაო მაღაზიას, რომელიც გულიას ქუჩაზე მდებარეობს ცენტრალური ავტოსადგურის მეზობლად. აქ 10 სექტემბრიდან დაიწყო შავ-თეთრი და ფერადი ტელევიზორების გამოფენა-გაყიდვა, საფირმო მაღაზიის ვრცელ და ნათელ დარბაზში თვალსაჩინოდაა განლაგებული უკანასკნელი მოდელების საბჭოური წარმოების შავ-თეთრი და ფერადი ტელევიზორები: „ელექტრონი“, „ვესნა“, „რადუგა“, „ჰორიზონტი“, „ფოტონი“, „სადკო“, „სპექტრი“, „რეკორდი“, „სლავუტიჩი“, „ბერიოზკა“, და ივერია“. ეს ტელევიზორები უზრუნველყოფენ სატელევიზიო სიგნალის მიღებას მეტრულ და დეციმეტრულ დიაპაზონებში, მათი კონსტრუქცია საშუალებას გვაძლევს ჩავრთოთ ვიდეომაგნიტოფონი. ტელევიზორების შერჩევასა და შემოწმებაში დაგეხმარებიან სავაჭრო ფირმის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და უშუალოდ ქარხნების წარმომადგენლები. ტელევიზორების შეძენა შეგიძლიათ როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე ნისიად. ფირმა „კულტსამეურნეო საქონლის“ სათაო მაღაზია ერთობ იოლად მისადგომი და მოსახერხებელია. როგორც საზოგადოებრივი ტრანსპორტისათვის, ასევე საკუთარი ავტომანქანების მფლობელთათვის. თუ სათაო მაღაზია მაინც გეშორათ, ეწვიეთ მის ფილიალებს, რომლებიც ტერიტორიულად თქვენთვის უფრო ხელსაყრელია. აქაც ტელევიზორების იგივე არჩევანია. მათი მისამართებია: „კოსმოსი“ — ვაჟა ფშაველას გამზირი № 49, „იუპიტერი“ — ნოდარ დუმბაძის გამზირი (მუხიანის დასახლებაში), „ჰორიზონტი“ — ვარკეთილის მასივის მეორე მიკრორაიონი, „პოლუსი“ — ვაზისუბნის დასახლების მეორე მიკრორაიონი და მაღაზია „კონდიციონერი“ — ოქტომბრის ქ. № 44. (ამ მაღაზიაში წინათ მხოლოდ საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლით ვაჭრობდნენ, ახლა კი აქ რადიო და ტელეაპარატურის ფართო ასორტიმენტია). გაცნობებთ ერთ სიახლესაც, რომელსაც ფირმა „კულტსამეურნეო საქონელი“ სთავაზობს წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს — მუშა მოსამსახურეთა დროის ეკონომიის მიზნით, კრედიტები გაფორმდება სამუშაო ადგილებზე.

ისარგებლეთ ფირმა „კულტსამეურნეო საქონლის“ მომსახურებით.

**რედაქტორი**
**თ. ბაჩეჩილაძე**

**თბილისის** სატრანსპორტო გაერთიანების სპორტული კლუბი „სინათლე“ 16 სექტემბრიდან 29 სექტემბრამდე ატარებს მუშათა პირველ სპარტაკიადას.
პროგრამაშია: მძლეოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი, ტყვიის სროლა, სიმძიმეების აწევა, ჭადრაკი, ტურისტული მრავალჭიდი, მაგიდის გადაძალვა და საწარმოო ტანვარჯიშში კონკურს-დათვალიერება.
საზეიმო გახსნა 16 სექტემბერს 17 საათზე. სპორტთამაშების დარბაზში (ტელმანის ქ. № 8).

**საორგანიზაციო კომიტეტი.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისათვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“,

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
ხამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-86,
„მერანი“ — 93-97-26, „მარათე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 68435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით სავაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05537